საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№ 7–8 პერიოდული გამოცემა 2016 წ. ივლისი-აგვისტო

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

ცხელი ივლისსა და აგვისტოს განმავლობაში ქვეყანაში მოვლენები იმგვარად განვითარდა, რომ მე და ჩემს აპარატს 10–ზე მეტი განცხადებისა და 13–ზე მეტი რეკომენდაციისა და სასამართლო მეგობრის მიმართვის მომზადება მოგვიწია, რომლებშიც სასამართლო ხელისუფლების, თვითმმართველობის ორგანოების, სხვადასხვა კომპანიებისა თუ ცალკეული პირებისადმი ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების ამაღლებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას ვითხოვდით.

აგვისტოში **ე.წ. „კაბელების" გახმაურებულ საქმეზე** სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მივმართე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, სადაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნორმის – გაფლანგვის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის მნიშვნელობაზე გავამახვილე ყურადღება.

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები 3
3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები 5
4. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 6
5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 10
   სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები 11
6. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა 13
7. წარმატებული საქმეები 15
8. მნიშვნელოვანი თარიღები 17
9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 17
10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 19

ვფიქრობ, ნორმა ნათლად არ ადგენს, არის თუ არა ანგარების მოტივი აუცილებელი გაფლანგვის ჩასადენად. მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს, როცა დაუდგენელია ანგარების მოტივით მოქმედება, გაფლანგვის ბრალდებით პირის მსჯავრდება არის თუ არა კონსტიტუციური.

ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისკენ მოვუწოდე საქართველოს მთავარ პროკურატურას

და შინაგან საქმეთა სამინისტროს 22 წლის **დემურ სტურუას თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმესთან დაკავშირებით.**

აუცილებელია, დამაჯერებელი პასუხი გაეცეს კითხვას, როგორ მოხდა, რომ პოლიციის თანამშრომელი, რომელსაც თვითმკვლელობამდე მიყვანაში ადანაშაულებდა პირი, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მიიმალა. რა გააკეთა პროკურატურამ საიმისოდ, რომ აღნიშნული პირი არ მიმალულიყო. მნიშვნელოვანია დადგინდეს, ვინ ეხმარებოდა ბრალდებულს მიმალვაში.

მომხდარმა ფაქტმა გააჩინა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ პოლიციის საქმიანობა რეპრესიული და ადმიანის უფლებათა დარღვევაზეა დაფუძნებული. მნიშვნელოვანია, მინიმუმამდე იყოს დაყვანილი იძულების, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების, თავისუფლების უკანონო აღკვეთის, წამების მუქარის და სხვა შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებები.

ინტერნეტ სივრცეში გავრცელდა და კვლავ ხელმისაწვდომია **წამებისა და ღირსების შემლახავი კადრები,** სადაც კონკრეტული ადამიანების იდენტიფიცირებაა შესაძლებელი. უკვე რამდენიმე წელია კატეგორიულად ვითხოვ კომპეტენტურმა სახელმწიფო უწყებებმა არა მხოლოდ დაიწყონ გამოძიება ვიდეო მასალის გავრცელებისა და შენახვის ფაქტზე, არამედ დაუყოვნებლივ გაატარონ კონკრეტული სამართლებრივი ღონისძიებები, რათა აღიკვეთოს მსგავსი კადრების ხელმისაწვდომობა და ხილვადობა ინტერნეტ და სხვა საჯარო სივრცეში. სამწუხაროდ, ჩემს განცხადებებს შედეგი არ მოჰყოლია და საჯარო სივრციდან ამ მასალის მოხსნისთვის არანაირი ზომები არ გატარებულა.

ტერორიზმში ბრალდებულმა ბექა ბექაურმა ჩემს რწმუნებულებთან საუბარში განაცხადა, რომ დაკავებისას მას კონდახით ჩაუმტვრიეს შუბლის ძვალი, რის გამოც დაკარგა გონება და არ ახსოვს, როდის გადაუმტვრიეს თითები. ამასთან, მიუხედავად თავის ქალას ღია ჭრილობისა და მარცხენა მტევნის დაზიანებისა, 11 საათი არანაირი სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინეს. ამ საკითხის გამო გამართულ პრესკონფერენციაზე მოვუწოდე საქართველოს მთავარ პროკურატურას, მყისიერად დაიწყოს საგამოძიებო მოქმედებები, ბექა ბექაურის მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე დამნაშავე პირების გამოვლენის მიზნით.

ივლისში მთელი ქვეყანა შეძრა კიდევ ერთმა ფემიციდის შემთხვევამ. **ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა** უკვე არა კონკრეტული ოჯახების, არამედ მთელი საზოგადოების ტკივილად და პრობლემად იქცა, რომელთანაც გამკლავება ვერ შევძელით.

პრობლემის სიმძაფრისა და მასშტაბების მიუხედავად, არსებული კანონმდებლობა და სამოქმედო გეგმები პრაქტიკაში ეფექტურად ვერ ხორციელდება; ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა საკანონმდებლო და ინსტიტუციური სივრცის დახვეწისათვის; ოჯახში ძალადობისაგან დამცავი მექანიზმების გამოყენების მაჩვენებელი და შესაბამისი უწყებების მხრიდან აქტივობა კვლავ არ პასუხობს არსებულ საჭიროებებს. ამ ფონზე კი განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრებმა ვერ დაინახეს ფემიციდის დეფინიციის საჭიროება და მხარი არ დაუჭირეს ინიციატივას, რომელიც კიდევ ერთხელ გაუსვამდა ხაზს საკითხის აქტუალობასა და მნიშვნელობას.

გვერდს ვერ ავუვლი მორიგ საჯარო დებატებს, რომელიც ბათუმში გაიმართა თემაზე – **უსახლკარობა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა და ეკომიგრაციის სფეროში არსებული გამოწვევები აჭარაში**. დებატებზე სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა, ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს შიდა მიგრაციული პროცესების გამომწვევ მიზეზებზე, მრავალშვილიანი დედების პრობლემებზე, ეკომიგრანტთა და უსახლკარო პირთა საკითხებზე.

ისაუბრეს სოციალური და ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის პრობლემებზე მაღალმთიან რეგიონებში; განიხილეს შიდამიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები და შემუშავებული სამოქმედო გეგმა. ისაუბრეს წალკაში ჩასახლებულ ეკომიგრანტებსა და სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე; მიმოიხილეს არსებული საკანონმდებლო ბაზა; განიხილეს ბათუმის მერიის სოციალური და უსახლკარო მოსახლეობის მხარდამჭერი პროგრამების ანალიზი; ასევე, ეკომიგრაციის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის ხარვეზები და ალტერნატივები; შეა-

ფასეს ე.წ. თვითნებური შესახლებების გამომწვევი ფაქტორები და კონკრეტული რეკომენდაციები წარმოადგინეს.

აგვისტოში მოწვევის წერილი გავუგზავნე **მოსამართლეებისა და ადვოკატების დამოუკიდებლობის შესახებ გაეროს სპეციალურ მომხსენებელს მონიკა პინტოს**. წერილში სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვადასხვა კომპონენტების ხელყოფის ასპექტებზე ვისაუბრე; განვიხილე მოსამართლეთა დანიშვნა-დაწინაურების კრიტერიუმებისა და პროცედურების ბუნდოვანება, საქმის საჯაროდ განხილვის კანონსაწინააღმდეგოდ შეზღუდვა, დასაბუთებული გადაწყვეტილების კანონით დადგენილ ვადაში მხარისთვის გადაცემის და საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უგულვებელყოფა; უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტები, მოწმეთა თანაბარ პირობებში დაკითხვის უფლებით სარგებლობის საკანონმდებლო ბარიერები და სხვა პრობლემური საკითხები.

იმედი მაქვს, გაეროს სპეციალური მომხსენებელთან წარმატებული თანამშრომლობის შემთხვევაში, პასუხისმგებელი მხარეების რეაგირების ღონისძიებები უფრო ეფექტური გახდება, რაც ხელს შეუწყობს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილ სარგებლობას.

აქვე მინდა დავამატო, რომ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა **საარჩევნო პერიოდში მონიტორინგს გავუწევთ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს.** ჩვენი რეგიონული ოფისები სრული დატვირთვით იმუშავებენ, ცხელ ხაზზე, მედია საშუალებებით ან სხვა ნებისმიერი გზით მიღებული შეტყობინებისთანავე მოხდება რეაგირება, ადგილზე გადამოწმდება ინფორმაცია რეაგირების ჯგუფის მიერ და დაიწყება საქმის წარმოება.

სახალხო დამცველის აპარატის ივლის–აგვისტოში გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ჩვენს საინფორმაციო ბიულეტენში იხილავთ.

2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები

2.1. განცხადება ნარკოტესტირებაზე იძულებით გადაყვანის შემთხვევასთან დაკავშირებით

27 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ მოუწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, უარი თქვას მოქალაქეთა ნარკოტესტირებაზე თვითნებურად, იძულებით გადაყვანის დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, რათა ამით არ შეიზღუდოს პირის თავისუფლება, პირადი ცხოვრება, ღირსება და სამართლიანი სასამართლოს უფლება.

ე.წ. „ქუჩის ნარკოტესტირება“ საქართველოში კვლავ სერიოზული ყოველდღიური პრობლემაა, რომელიც არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლების ხელშეუხებლობას, პირადი ცხოვრების, პიროვნების ღირსების და სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

საქართველოს სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2015 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინა სარჩელი, სადაც საქართველოს კანონმდებლობის იმ ნორმათა არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს შესაძლებლობას აძლევს, პირი თვითნებურად დაუქვემდებარონ ნარკოტესტირებას; ასევე, **შეხვედრები** და **საჯარო დებატები** გამართა არასამთავრობო სექტორის და სახელწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან.

2.2. სახალხო დამცველის განცხადება თბილისში ე.წ. ვეტერანთა დასახლებაში არსებულ სასხოვრებელ პირობებზე

სახალხო დამცველი გამოეხმაურა თბილისში, ქეთევან წამებულის N71–ში არსებულ ვეტერანთა დასახლებაში **14 ივლისს** მომხდარ ფაქტს, რა დროსაც ერთ–ერთ ბინაში ჭერი ჩამოინგრა და იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას რეალური საფრთხე შეექმნა. სახალხო დამცველის წარმომადგენელი ვეტერანთა დასახლებას ეწვია და არსებულ მდგომარეობას გაეცნო.

ქეთევან წამებულის 71-ში, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა ზეპირი თანხმო-

ბით ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა 14 ოჯახი 1997 წლიდან ცხოვრობს. ტერიტორიაზე არსებული შენობები ავარიულია და მყისიერ და ეფექტურ რეაგირებას საჭიროებს.

„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, დაუშვებელია დაკავებული სასამსახურო საცხოვრებელი სახლებიდან ომისა და სამხედო ძალების ვეტერანთა გამოსახლება, სამაგიეროს მიუცემლად. სხვა შემთხვევაში, ომისა და სამხედრო ძალის ვეტერანები ხვდებიან რიგით უსახლკაროთა კატეგორიაში, ყოველგვარი განსაკუთრებული სტატუსის გარეშე.

სახალხო დამცველი მიიჩნევს რომ ქვეყნის მთლიანობისათვის ბრძოლაში ჩართული ადამიანები იმსახურებენ ღირსეულ მოპყრობას და ზრუნვას სახელმწიფოს მხრიდან, რაც მაგალითი უნდა იყოს მოქმედი და მომავალი სამხედროებისა და ომის მონაწილეობისთვის.

ვეტერანებისთვის ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის რეკომენდაციით სახალხო დამცველმა 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიმართა საქართველოს მთავრობას; თუმცა, ეს რეკომენდაცია „2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში გათვალისწინებული არ არის.

2.3. განცხადება „გირჩის" წინასაარჩევნო რეკლამასთან დაკავშირებით

საქართველოს სახალხო დამცველის **12 ივლისის** განცხადებით, „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩის" წინასაარჩევნო რეკლამაში არ არის დაბალანსებული მოსახლეობის ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის ინტერესები, არამედ, ერთგვარი ირონიით არის ხაზგასმული, რომ თუ ქვეყანა ასაკოვანი ამომრჩევლის იმედად დარჩება, ეს არაპროგრესული და განვითარებისთვის ხელისშემშლელი არჩევანი იქნება.

საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ დაუშვებელია წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში იმ მეთოდების გამოყენება, რომელიც ახალისებს დისკრიმინაციულ მოპყრობას ცალკეული ჯგუფების მიმართ და მიუთითა პოლიტიკურ ორგანიზაციას – უზრუნველყოს სტერეოტიპების შემცველი წინასაარჩევნო რეკლამის ინტერნეტ სივრციდან მოხსნა.

2.4. განცხადება თელავში სოციალისტური პარტიის აქციის დროს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით

საქართველოს სახალხო დამცველმა შეშფოთება გამოთქვა **4 აგვისტოს,** თელავში, პარტია „სოციალისტური საქართველოს" ყრილობაზე პარტიის წევრების მიერ მოქალაქისთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტთან დაკავშირებით.

მედია საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა რ.ქ.-ს შეკრებაზე დასწრების უფლება არ მისცა და სახეში ხელი დაარტყა (მოძალადე პოლიციამ დააკავა და სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე (ცემის) მუხლით წაუყენა ბრალი). კადრების მიხედვით, ინციდენტის მონაწილეები გამოირჩეოდნენ სიძულვილის ენითაც.

სახალხო დამცველი გმობს მსგავს ძალადობრივ ქმედებებს, სიძულვილის ენის გამოყენებას და მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს თითოეულ ასეთ ფაქტზე მოახდინონ დროული რეაგირება და ძალადობრივი ქმედების სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია.

2.5. განცხადება ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის რკინიგზის მშენებლობისას განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით

10 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს, შეისწავლოს ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის რკინიგზის მშენებლობის ზვარე-ქვიშხეთის მონაკვეთზე არსებული შრომის პირობები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

რკინიგზის სამშენებლო კომპანიაში დასაქმებულმა მუშებმა სახალხო დამცველის აპარატის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს წარმომადგენლებს შეატყობინეს, რომ კომპანიაში უზრუნველყოფილი არ არის შესაბამისი სამუშაო პირობები, შრომის უსაფრთხო გარემო და ჰიგიენური ნორმები; დასაქმებულები ვერ სარგებლობენ დასვენების და უქმე დღეებით და შვებულებით, საპატიოდ არ ეთვლებათ სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა ჯანმრთელობის გაუარესების გამო, არ იცნობენ შრომის ხელშეკრულების პირობებს, არ ფლობენ ზუსტ ინფორმაციას ანაზღაურების ოდენობის შესახებ, რადგან ანაზღაურებას იღებენ საბანკო გადარიცხვის გარეშე. მუშაობენ გაუმართავი

ტექნიკით; არ აქვთ სამუშაო უნიფორმა, არ არიან უზრუნველყოფილნი კვებით და სამედიცინო მომსახურებით. მუშები ასევე, მიუთითებენ კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან ღირსებისა და პატივის შემლახველ დამოკიდებულებაზე.

2.6. განცხადება ქედის საკრებულოს წევრების სექსისტურ გამონათქვამებთან დაკავშირებით

26 აგვისტოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამართული სხდომის დასრულების შემდეგ, ქალებს სხდომათა დარბაზის დატოვება მოსთხოვეს. „პირადი საკითხები იყო გასარკვევი და დასალაპარაკებელი მამაკაცებში, არ იყო იქ ქალბატონების ყოფნა საჭირო“ – განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ მედიასთან საუბარში.

სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირების აუცილებელი წინაპირობაა, შესაბამისად, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ამ ამოცანის განხორციელებას. საკრებულოს სხდომათა დარბაზი პოლიტიკური ფორუმია, სადაც პოლიტიკური დებატებში მონაწილეობის უფლება აქვს საკრებულოს ყველა წევრს, მათი სქესის მიუხედავად. დაუშვებელია, მამრობითი სქესის წარმომადგენელი დეპუტატების მიერ პოლიტიკური ფორუმი აღქმული იყოს როგორც პირადი სივრცე, სადაც შეეძლებათ ქალებს პოლიტიკური დებატების დატოვება მოსთხოვონ.

სახალხო დამცველმა ქედის საკრებულოს წევრებს მოუწოდა თავი შეიკავონ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებებისაგან და ხელი შეუწყონ თანასწორი გარემოს ჩამოყალიბებას. ასევე, სახალხო დამცველი მიმართავს, საქართველოს მასშტაბით ყველა საკრებულოს თავმჯდომარეს, საქმიანობა წარმართონ თანასწორობის პრინციპის დაცვით და სექსისტური გამონათქვამების წინააღმდეგ მიიღონ პრევენციული ზომები.

3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და საერთაშორისო ვიზიტები

3.1. საქართველოს სახალხო დამცველი საერთაშორისო კამპანიას „კაცები ზრუნავენ“ შეუერთდა

8 ივლისს გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის და არასამთავრობო ორგანიზაცია WeCare-ის ინიციატივით კამპანია „კაცები ზრუნავენ“ დაიწყო. კამპანიის პრეზენტაციაზე სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა გენდერული თანასწორობის მიღწევაზე, დამკვიდრებულ გენდერული სტერეოტიპებსა და ბარიერებზე ისაუბრა; აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, კაცები ნაკლებად არიან ჩართულნი შვილების აღზრდაში და იმედი გამოთქვა, რომ კამპანია დიდ როლს შეასრულებს პოზიტიური ცვლილებების მიღწევაში.

კამპანია მიზნად ისახავს, წაახალისოს კაცების, როგორც მზრუნველი მამების და მეუღლეების ჩართულობა ოჯახების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის, რათა კაცებმა მეტად დაუჭირონ მხარი თანასწორობას და თანაბრად გადაინაწილონ საოჯახო საქმე.

3.2. სახალხო დამცველის შეხვედრა აფრიკელ პოლიტიკურ ლიდერთა დელეგაციასთან

22 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისს აფრიკელ პოლიტიკურ ლიდერთა დელეგაცია ეწვია, რომელსაც კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატი კრისტიან მალანგა ხელმძღვანელობდა.

დელეგაციის მიზანი იყო საქართველოს რეფორმებისა და დემოკრატიზაციის გამოცდილების გაცნობა. საქართველოს სახალხო დამცველმა დელეგაციის წევრებს გააცნო სახალხო დამცველის აპარატის მანდატი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები; ისაუბრა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით საქართველოში არსებულ მდგომარეობას, მიღწეულ შედეგებსა და არსებულ გამოწვევებს.

4. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

4.1. საკანონმდებლო წინადადება საქართველოს პარლამენტს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით

19 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საკანონმდებლო წინადადება შეეხება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის მიხედვითაც „სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ან სატრანსპორტო საშუალების მართვისას კანონმდებლობით დადგენილი წესით ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდება“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს. ამავე მუხლის შენიშვნის მე-10 პუნქტის მიხედვით, თუ ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობა ტესტირების მეშვეობით გამოვლინდა, მძღოლი უფლებამოსილია ტესტირებიდან 2 საათის განმავლობაში მიმართოს შესაბამის სამედიცინო/საექსპერტო დაწესებულებას კლინიკურ-ლაბორატორიული შემოწმების ან/და სისხლის აღებისა და მასში ეთანოლის შემცველობის დადგენის მიზნით. თუ კლინიკურ-ლაბორატორიული შემოწმების შედეგად მძღოლს არ დაუდგინდა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობა, იგი გათავისუფლდება ადმინისტრაციული სახდელისაგან. ამგვარი შესაძლებლობა არ არის დადგენილი იმ პირებისათვის, რომლებსაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდების გამო. საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებით, მსგავსი მიდგომა უნდა იქნას უზრუნველყოფილი იმ პირთა მიმართაც, რომლებმაც თავი აარიდეს შემოწმებას ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად, თუმცა შემდეგ ასეთი შემოწმება გაიარეს შესაბამის სამედიცინო/საექსპერტო დაწესებულებაში.

4.2. წინადადება მთავარ პროკურორს პოლიციის მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ

7 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა ბრალდებულ დ.გ.–ს მიმართ განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს.

N8 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულმა ბრალდებულმა დ.გ.–მ განაცხადა, რომ შსს ვაკე–საბურთალოს სამმართველოს I განყოფილების თანამშრომლებმა დაკავებისას მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ N8 დაწესებულებაში შესვლისას ბრალდებულს ორივე თვალის ქვედა კიდურთან მოლურჯო ფერის კანქვეშა სისხლნაჟღენთი და ცხვირზე ფუფხით დაფარული ექსკორაცია აღენიშნებოდა.

სახალხო დამცველის აზრით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ბრალდებულის მიმართ დაკავებისას არასათანადო მოპყრობას, რაც საჭიროებს დროული, ზედმიწევნითი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების დაუყოვნებლივ ჩატარებას, რათა დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში მოხდეს არასათანადო მოპყრობის ჩამდენი პირების დადგენა და მათ მიმართ მართლმსაჯულების განხორციელება.

4.3. რეკომენდაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტზე

22 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა სამართალდამცავთა მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი თავის სამ მეგობართან ერთად გადაადგილდებოდა მანქანით, რა დროსაც საპატრულო ეკიპაჟმა გააჩერა. პატრულ-ინსპექტორებს და განმცხადებლის მეგობრებს შორის 3 საათიანი კამათის განმავლობაში, განმცხადებელი უშედეგოდ თხოვდა პატრულ-ინსპექტორებს, მისთვის მანქანის საბარგულიდან ეტლის გადმოტანის და საპირფარეშოთი სარგებლობის შესაძლებლობა მიეცათ. ვინაიდან ასეთი შესაძლებლობა არ მიეცა, განმცხადებელი იძულებული გახდა ფიზიოლოგიური მოთხოვნილება მანქანაში დაეკმაყოფილებინა.

სახალხო დამცველმა მოითხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებს ჩაუტარდეთ ტრენინგები და სხვა შესაბამისი ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და საჭიროებების შესახებ თეორიული ცოდნის მიღების, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით რთული სიტუაციების მართვის უნარების გამომუშავებისა და აღნიშნული საკითხის მიმართ მოსამსახურეთა მხრიდან მგრძნობელობის ამაღლების მიზნით.

4.4. რეკომენდაცია ორსულობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტზე

საქართველოს სახალხო დამცველმა ორსულობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა და **31 აგვისტოს** რეკომენდაციით მიმართა შპს „ახალ მზერას“ – აღმოფხვრას განმცხადებლის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგი და აღადგინოს სამუშაო ადგილზე; ასევე, მომავალში თავი შეიკავოს შრომით ურთიერთობებში ორსულობის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობისგან და საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით.

დასაქმებიდან 1 წლის შემდეგ კომპანიამ ქალს შრომითი ხელშეკრულება ორსულობის მიზეზით აღარ გაუგრძელდა. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ რამდენიმე თვის წინ, მან სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებისას დაუშვა შეცდომა, რომლით გამოწვეული ზიანი საკუთარი ხელფასიდან აანაზღაურა.

მოპასუხემ მიუთითა, რომ განმცხადებელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა განპირობებული იყო მის მიერ საქმის არაჯეროვნად შესრულებით და ხელშეკრულების ვადის გასვლით. სახალხო დამცველმა შპს „ახალ მზერასგან“ სხვა დასაქმებულთა პირადი საქმეები, შრომითი ხელშეკრულებები და დისციპლინური სახდელების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებები გამოითხოვა, თუმცა, მოპასუხემ აღნიშნული ინფორმაცია არ გასცა.

4.5. რეკომენდაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტექნიკურ უნივერსიტეტში რექტორის არჩევის წესის დარღვევასთან დაკავშირებით

14 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიხედვით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს კანონდარღვევით ჩატარებული არჩევნების შედეგების აღმოსაფხვრელად და ახალი არჩევნების კანონიერად ჩატარების უზრუნველსაყოფად, ხოლო კომისიამ – ბათილად ცნოს რექტორობის კანდიდატად არჩილ ფრანგიშვილის რეგისტრაცია და მისი თანმდევი არჩევნების შედეგები.

18 თებერვალს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებული არჩევნების შედეგად, უნივერსიტეტის რექტორად ზედიზედ მესამედ აირჩა არჩილ ფრანგიშვილი. არჩილ ფრანგიშვილის მესამე ვადით არჩევით დაირღვა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმები, რომლებიც კრძალავს რექტორის ზედიზედ ორზე მეტი ვადით არჩევას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ არჩილ ფრანგიშვილის რექტორობის კანდიდატად რეგისტრაციით, ასევე დაარღვია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის აღნიშნული ნორმები, რამაც შემდეგში გავლენა იქონია ზოგადად არჩევნების შედეგებზე.

სამწუხაროდ, არც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და არც ტექნიკურმა უნივერსიტეტმა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს.

4.6. რეკომენდაცია გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარეებს

8 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიას, თავისი საქმიანობის ფარგლებში განიხილოს და შემჭიდროვებულ ვადებში მიიღოს გადაწყვეტილება გ.ხ.-ს საცხოვრებელი სახლის აღდგენა/გამაგრებითი სამუშაოებისათვის თანხის გამოყოფის საკითხზე.

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვრინისში, გამყოფ ხაზთან მცხოვრები გ.ხ.–ს საცხოვრებელი სახლი სერიოზულად დააზიანა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩამოვარდნილმა რამდენიმე ჭურვმა. სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2009 წლიდან მოყოლებული, სახლის შესაკეთებლად თანხა არც ერთ წელს არ აღმოაჩნდა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საჭიროა უმოკლეს ვადაში გამოიყოს თანხა სახლის გამაგრებისა და აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად, რათა ოჯახი სათანადო საცხოვრებლის გარეშე არ დარჩეს.

4.7. რეკომენდაცია დევნილისათვის მიუღებელი შემწეობის ანაზღაურების თაობაზე

18 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, რათა იძულებით გადაადგილებულ პირს პ.კ.–ს აუნაზღაურდეს 2008-2013 წლებში მიუღებელი დევნილთა შემწეობა, სადავო პერიოდში დევნილთათვის კანონით გათვალისწინებული შემწეობის ოდენობით.

პ.კ.–ს 2008–2013 წლებში არ ერიცხებოდა დევნილის შემწეობა, ვინაიდან, არ ქონდა გავლილი სამინისტროს მიერ წინასწარ გამოცხადებულ ვადაში დევნილთა რეგისტრაცია. რეგისტრაცია პ.კ.–მ მოგვიანებით, 2013 წლის თებერვალში გაიარა, რითაც აღმოიფხვრა შემწეობის დარიცხვის შეჩერების საფუძველი. მართალია სამინისტრომ დევნილის შემწეობა განუახლა, თუმცა არ ანაზღაურებია განვლილი პერიოდისათვის მიუღებელი დევნილთა შემწეობა, მიუხედავად იმისა, რომ 2008–2013 წლებში მოქმედი კანონის მიხედვით, შეჩერებული დევნილთა შემწეობა მიმდინარე საბიუჯეტო წლის ფარგლებში უნდა ანაზღაურებულიყო.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ **სახალხო დამცველის რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ გაითვალისწინა.**

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მატერიალური ზიანი, რომელიც პ.კ.–ს დევნილის სტატუსის აღდგენის შემდეგ, დევნილთა შემწეობის აუნაზღაურებლობით მიადგა, გამოწვეულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობით.

4.8. რეკომენდაცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს

19 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილი თ.გ.-ს უფლებების დარღვევის თაობაზე რეკომენდაციით მიმართა.

განმცხადებელი ცხოვრობდა თბილისში, ყოფილი დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტში, რომელსაც სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნით, ნგრევის საფრთხე ემუქრება. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ე.წ. ნგრევადი ობიექტებიდან დევნილთა განსახლება კრიტერიუმების გათვალისწინების გარეშე უნდა განხორციელდეს; განმცხადებელს კი გრძელვადიან განსახლებაზე უარი მითითებულ ობიექტში მუდმივად არ ცხოვრების მოტივით ეთქვა.

სახალხო დამცველის აპარატმა საქმის მასალების გაცნობის შედეგად დაადგინა, რომ სამინისტრომ გადაწყვეტილება საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევის გარეშე მიიღო.

29 ივლისს სამინისტრომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ საქმეზე მიმდინარეობს სასამართლო განხილვა, რომლის დასრულებამდე, სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას რაიმე სახის ღონისძიება განეხორციელებინა.

სამწუხაროა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მოლოდინში განმცხადებელი ალტერნატიული საცხოვრებლის გარეშე დატოვა.

4.9. საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო ბრძანების გაუქმების რეკომენდაცია თბილისის მერს

19 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის მერს დავით ნარმანიას და მოითხოვა სპეციალური (ზონალური) შეთანხმების შესახებ მისი იმ ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც გლდანში, N39 ბაგა–ბაღის მიმდებარე მიწის ნაკვეთზე სამშენებლო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტები გაიზარდა.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე გადაწყვეტილების მიღების გამო, დაინტერესებულ მხარეს ერთმევა საკუთრებისა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების დაცვისა და რეალიზების შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება საერთო საზოგადოებრივ ინტერესებს, უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის ძირითადი უფლებები და კანონიერების პრინციპი.

4.10. წინადადება თბილისის მერს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით

14 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის მერს შეისწავლოს მ.მ.-ს საცხოვრებელი სახლის ქვეშ გამავალი საკანალიზაციო მილის დაზიანების საკითხი და გამოვლენილი პრობლემის მოგვარების მიზნით მიიღოს შესაბამისი ზომები.

მ.მ.-ს საცხოვრებელი სახლი ნახევარსარდაფის ქვეშ მდებარე დაზიანებული საკანალიზაციო მილიდან გამოსული წყლით ზიანდებოდა. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვალდებულია უზრუნველყოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია.

4.11. მიწის საკუთრებაში რეგისტრაციისას მესაკუთრის შესახებ ინფორმაციის გამოკვლევის რეკომენდაცია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

14 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მოქალაქის უფლების აღდგენის თაობაზე რეკომენდაციით მიმართა.

გ.ე.-ს 1998 წლის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე სარგებლობაში გადაეცა მარნეულის რაიონში მდებარე 600 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი. 2015 წელს მან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოითხოვა, თუმცა მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურმა უარი უთხრა საკუთრების რეგისტრაციაზე, რადგან სარეგისტრაციოდ წარდგენილ მიწის ნაკვეთზე სახელმწიფოს საკუთრების უფლება 2009 წელს იყო რეგისტრირებული.

საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის თაობაზე მოთხოვნის გაგზავნამდე არ ყოფილა გამოკვლეული, მოიცავდა თუ არა აღნიშნული მიწის ნაკვეთი მიწის რეფორმის დროს განაწილებულ და სხვა პირთა, მათ შორის გ.ე.-ს მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, რითაც შეილახა მისი უფლებები.

4.12. რეკომენდაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს შემწეობის ანაზღაურების შესახებ

4 აგვისტოს სახალხო დამცველმა სოციალური მომსახურების სააგენტოს უკანონო გადაწყვეტილებების გაუქმების, ოჯახისათვის მიუღებელი შემწეობის ანაზღაურებისა და მოცემულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი პირის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების რეკომენდაციით მიმართა.

სოციალური მომსახურების სააგენტომ რ.ჯ.–ს სოციალურად დაუცველ ოჯახს მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია გაუუქმა, ვინაიდან რ.ჯ. დაოჯახდა ა.ყ.–ზე, რომელსაც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია 3 წლის ვადით ჰქონდა აკრძალული. დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო შეზღუდვა მხოლოდ ა.ყ.–ზე გაევრცელებინა და არა ოჯახის დანარჩენ წევრებზე.

აღსანიშნავია, რომ სოციალური დახმარების შეწყვეტამდე ოჯახის მოქმედი სარეიტინგო ქულა ძალიან დაბალი იყო.

4.13. რეკომენდაცია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სააღსრულებო წარმოების ლიცენზიის გაუქმების კანონიერებასთან დაკავშირებით

22 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა კერძო აღმასრულებლისთვის სააღსრულებო წარმოების ლიცენზიის გაუქმების კანონიერების შესწავლისა და კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღების რეკომენდაციით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ კერძო აღმასრულებელი მ.ზ. არ ჩართო სააღსრულებო წარმოების ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, რომლის შედეგად გამოცემული აქტით შეიძლებოდა მ.ზ.–ს უფლება ან კანონიერი ინტერესი შეზღუდულიყო. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებსა და არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს, შესაბამისად, უგულებელყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები.

5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

5.1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი N5

8 ივლისს სახალხო დამცველმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის N5 ბიულეტენი გამოაქვეყნა. დოკუმენტში საუბარია თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილებში განხორციელებულ ვიზიტებზე, მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგზე; მოკლედ არის წარმოდგენილი N12 პენიტენციური დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა, „მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში" სპეციალურ ანგარიშში შესული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი და ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში.

გაეცნობით საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციას – წამების დეფინიციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით; არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს მიგრანტთა არასათანადო მოპყრობისაგან დაცვასთან მიმართებაში; ასევე იხილავთ ფონდ „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისის" ხელმძღვანელის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს წევრის ნინო მახაშვილის მოსაზრებებს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

5.2. ანგარიში N6 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ

12 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ N6 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია დაწესებულებაში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებულ ხარვეზებზე, მათ შორის ადმინისტრაციასა და პატიმრებს შორის არსებულ კონფლიქტური ურთიერთობაზე; გაურკვეველი წარმომავლობის და საეჭვო ხასიათის ტრავმებზე და დაზიანებების დადგენილი სტანდარტების შეუსაბამოდ დოკუმენტირებაზე.

დაუსაბუთებელია ელექტრონული მეთვალყურეობის დაწესების შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანებები; გასულ წელთან შედარებით გაზრდილია დისციპლინური სახდელის დაკისრების პრაქტიკა. ახალგარემონტებულ საკნებში ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემა არღვევს პატიმრის პრივატულობის უფლებას.

დაწესებულებაში არ ხორციელდება ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო აქტივობები; არ ხდება პატიმართა უზრუნველყოფა დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარებით; პრაქტიკულად შეუძლებელია კონფიდენციალური საჩივრის გაგზავნა; პრობლემად რჩება სატელეფონო საუბრის კონფიდენციალობის დაცვა, ხოლო ხანმოკლე პაემნისას მინის გამყოფი ბარიერი პატიმარს ოჯახის წევრებთან ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას არ აძლევს.

5.3. შეხვედრა კახეთში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადვოკატებთან

29 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული დეპარტამენტის ორგანიზებით, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები კახეთში სისხლის სამართლის მიმართულებით მომუშავე ადვოკატებს და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრა მიზნად ისახავდა პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებისა და დაკავებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღებასა და თავის მხრივ სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის გაზიარებას დამსწრე საზოგადოებისათვის.

ისაუბრეს დაკავებისას პირისთვის მისი უფლებების და ბრალის შესახებ ინფორმაციის მიწოდების პრობლემაზე, ასევე ადვოკატის ხელმისაწვდომობისა და დაკავებულის დაკითხვის პროცედურების დარღვევის შემთხვევებზე.

5.4. ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის მონიტორინგი

12 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების – თავშესაფრის მონიტორინგი განახორციელა, რომელსაც ადმინისტრირებას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი უწევს.

მონიტორინგის პირველადი შედეგები ცხადყოფს, რომ თავშესაფარში კეთილსაიმედო გარემოა შექმნილი. მომსახურების მიმღები პირები პოზიტიურად აფასებენ მიწოდებულ სერვისსა და მათდამი მოპყრობას. მისასალმებელია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, გამოიყო ძიძის შტატი, რაც დადებითად აისახა ბენეფიციართა თვითრეალიზაციის შესაძლებლობებზე. აღსანიშნავია ბენეფიციართა დასაქმების ხელშეწყობის წარმატებული პრაქტიკაც.

მონიტორინგისას თვალსაჩინო იყო კვებისა და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით არსებული პრობლემები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არაადაპტირებული ფიზიკური გარემო.

5.5. სპეციალური ანგარიშები მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის სერვისების მონიტორინგის შესახებ

18 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში – „სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის გაძლიერება“, მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის სერვისების მონიტორინგის შესახებ სპეციალური ანგარიშები წარმოადგინა.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მინდობით აღსაზრდელ და რეინტეგრირებულ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ეფექტიანად დაცვისათვის, აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკისა და ამ სფეროში მოქმედი შიდა მექანიზმების არსებითი გაძლიერება და შემდგომი მუშაობა.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციებით მიმართა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, შეიმუშაონ და წარმართონ კოორდინირებული პოლიტიკა მინდობით აღზრდის და რეინტეგრაციის სფეროში: მათ შორის, მოამზადონ სპეციალური სახელმწიფო ქვეპროგრამები, განახორციელონ მინდობით აღმზრდელ ოჯახთა სისტემური და რეგულარული გადამზადება, აამაღლონ მათი ინფორმირებულობის დონე ძალადობის, ექსპლუატაციისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით, ხელი შეუწყონ ქვეპროგრამაში ჩართულ, ფარდობითი სიღარიბის პირობებში მცხოვრებ, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებსა და შორეულ სოფლებში მცხოვრებ ბავშვთა ოჯახების სოციალურ გაძლიერებას.

სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები

5.6. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს ფოტოგადაღების საკითხებზე ტრენინგი ჩაუტარდათ

7-9 ივლისს, ევროსაბჭოს პროექტის - „სახალხო დამცველის ოფისის საქმიანობის გაძლიერება საქართველოში“ - ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და რეგიონული დეპარტამენტების თანამშრომლებს ფოტოგადაღების საკითხებზე 3 დღიანი ტრენინგი ჩაუტარდათ.

ტრენინგის მონაწილეები პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლებამოსილების განხორციელებისათვის მიმდინარე სამუშაოს ფარგლებში გაეცნენ კრიმინალისტიკისა და ფოტოგადაღების საფუძვლებს, საგამოძიებო და საექსპერტო კვლევით ფოტოგრაფიას; განიხილეს სასამართლო მედიცინა, მტკიცებულებათა დამაგრება და სხვა საკითხები.

* პატიმრობის კოდექსის მე-60 მუხლში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები 2016 წლის 1 სექტემბრიდან უფლებამოსილი იქნებიან განახორციელონ პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანებებისა და პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მატერიალური პირობების ფოტოგადაღება.

5.7. ტრენინგი დისკრიმინაციის საქმეებზე საგამოძიებო მეთოდოლოგიის თემაზე

4-9 ივლისს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (EWMI-PROLoG) პროგრამის ფარგლებში, საქართველოში სლოვენიელი ექსპერტი დისკრიმინაციის საკითხებში ბოჟდან ვერნიკ სეტინკი მოიწვიეს.

7-8 ივლისს ექსპერტმა ტრენინგი ჩაუტარა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს თემაზე: „საგამოძიებო მეთოდოლოგია დისკრიმინაციის საქმეები“.

ბუშტიან ვერნიკ სეტინჩმა ტრენინგზე განიხილა დისკრიმინაციის ცნება, მისი ფორმები და სახეები, წარმოადგინა პრაქტიკული მაგალითები და მეთოდოლოგია, რომელიც აპარატის თანამშრომლებს დაეხმარება დისკრიმინაციის ფაქტის აღმოჩენისა და მისი გამოკვლევის უნარების გაუმჯობესებაში.

საქართველოში ვიზიტის დროს ექსპერტი ასევე შეხვდა როგორც ხელისუფლების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მოისმინა მათ მოსაზრებები და შემოთავაზებები ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გაუმჯობესების გზების შესახებ.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტი სპეციალურ ანგარიშს მოამზადებს ანტიდისკრიმიციული კანონმდებლობის და პრაქტიკის შესახებ.

5.8. ტრენინგი მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფი ბავშვთა სახლების აღმზრდელთათვის

22–26 აგვისტოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ „ბავშვის უფლებების“ თემაზე ტრენინგი ჩაუტარა მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფი ბავშვთა სახლების 19 აღმზრდელს.

სატრენინგო პროგრამის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ადგილობრივ და საერთაშორისო დოკუმენტებს, ასევე ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ბავშვის მიმართ ძალადობა, ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმები, არსებული სერვისები და შესაბამისი უწყებების როლი, ბავშვთა უფლებებზე ინფორმირებულობის მნიშვნელობა, არსებული პრობლემები და მათი მოგვარების გზები, საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობა, ხედვა და როლი.

განიხილეს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსა და მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ არასრულწლოვანთა პანსიონებში არსებული მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგები.

ტრენინგი ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული „სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის მხარდაჭერა“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა.

5.9. ვიქტორინა „რელიგიები და ეთნოსები საქართველოში“

29 ივლისს, ბათუმში სახალხო დამცველთან არსებულმა ტოლერანტობის ცენტრმა წელს უკვე მეექვსედ ჩაატარა ვიქტორინა – „ეთნოსები და რელიგიები საქართველოში“. ვიქტორინის მიზანია სკოლის მოსწავლეთა შორის საქართველოს რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ტოლერანტული გარემოს შექმნის ხელშეწყობა.

ასპარეზობაში გამარჯვებულ „საქართველოს გაეროს ასოციაციის“ ქუთაისის ახალგაზრდული კლუბის წევრებს ჯილდოდ პლანშეტები და სიგელები გადაეცათ. სიგელებითა და სამახსოვრო პრიზებით დაჯილდოვდა ვიქტორინის ყველა მონაწილე.

ღონისძიება ჩატარდა აშშ–ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) პროექტის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში.

5.10. ვიქტორინა ახალქალაქში

29 ივლისს, ახალქალაქში სახალხო დამცველის აპარატის სამცხე-ჯავახეთის ოფისმა ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობის“ ფარგლებში ახალგაზრდული ინტეგრირებული ფესტივალი გამართა. ფესტივალში ახალქალაქის და ახალციხის მუნიციპალიტეტების ქართული და არაქართული საჯარო სკოლების 77 მოსწავლე მონაწილეობდა.

ფესტივალის მთავარ მიზანს ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენდა.

5.11. ტრენინგი რეგიონული დეპარტამენტის წარმომადგენლებისთვის ბავშვის უფლებების მონიტორინგის საკითხებზე

7-8 აგვისტოს, ბორჯომში საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრმა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით, სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების წარმომადგენ-

ლებისთვის ბავშვის უფლებათა მონიტორინგის საკითხებში ტრენინგი ჩაატარა.

ტრენინგზე განიხილეს ბავშვთა განთავსების ღია და დახურული ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებების, არასრულწლოვანთა სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების მონიტორინგის საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ძალადობის, ექსპლუატაციისა და სხვა ტიპის არასათანადო მოპყრობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებებს, სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებულ არასრულწლოვანთა უფლებრივ მდგომარეობას.

6. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველო

6.1. საინფორმაციო შეხვედრა ლგბტ თემის წევრებთან

2 ივლისს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსმა მადონა ბასილაძემ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) ორგანიზებით გამართულ საინფორმაციო შეხვედრაზე იმერეთისა და სამეგრელოში მცხოვრებ ლგბტ თემის წევრებთან დისკრიმინაციის მიმართულებით სახალხო დამცველის მანდატზე ისაუბრა.

6.2. შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

8 ივლისს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision–ის კავკასიის ბავშვთა დაცვის პროგრამის/სტანდარტების და World Vision Georgia–ს წარმომადგენლები ესტუმრნენ. შეხვედრაზე პროექტის ფარგლებში შექმნილი ბავშვთა დაცვის პროგრამის განხორციელებაში სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობისა და ჯგუფის ფორმირების საკითხი განიხილეს.

6.3. შეხვედრა ჭიათურელ მაღაროელებთან

11 ივლისს მადონა ბასილაძე საქართველოს მეტალურგიული სამთო და ქიმიური მრეწველობის პროფკავშირების ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომპანიის პირველადი პროფკავშირების თავმჯდომარეს ამირან მაჩიტიძეს შეხვდა.

შეხვედრაზე ამირან მაჩიტიძემ მაღაროში არსებულ მძიმე სამუშაო პირობებზე, გაუმართავ სავენტილაციო სისტემაზე, დასაქმებულთა სრულად ეკიპირების და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება.

მადონა ბასილაძემ ასევე მონახულა შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომპანიის საექსპერიმენტო მოდელი – მაღაროელთა მოსასვენებელ სახლი და ადგილზე გაეცნო იქ არსებულ პირობებს. სახლში კარგი პირობებია და მაღაროელები ექსპერიმენტით კმაყოფილი არიან.

6.4. სახალხო დამცველის წარმომადგენელმა დევნილებს სამართლებრივი კონსულტაციები გაუწია

5 და 11 ივლისს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა თამთა ჩეჩელაშვილმა დანიის ლტოლვილთა საბჭოს ორგანიზებით იმერეთში არსებული ყოფილი დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ცენტრები მოინახულა და ადგილზე გაეცნო დასახელებულ ობიექტებში არსებულ საცხოვრებელ პირობებს. მან ასევე, სამართლებრივი კონსულტაციები გაუწია იძულებით გადაადგილებულ პირებს სათანადო საცხოვრებლით დაკმაყოფილების, სოციალური შემწეობის, დევნილის სტატუსის აღდგენასა და სხვა საკითხებზე.

6.5. შეხვედრა ლენტეხისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების მოსახლეობასთან ივლისსა და აგვისტოში

სახალხო დამცველის საკონტაქტო პირი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში სოფიო ხვადაგიანი დაბა ლენტეხის სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პრობლემებს გაეცნო. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუწდში მცხოვრებ ერთადერთ მოსახლესთან და სოფელ ხოფურის მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე სხვა საკითხებთან ერთად აღინიშნა, რომ დაბაში არ არსებობს აგრარული ბაზარი, რაც მოსავლის რეალიზებას ართულებს.

ცაგერის გამგებლის წარმომადგენელთან აკაკი პირველთან საუბრისას სასმელი წყლის მიწოდების მოსაგვარებლად ერთიანი ცენტრალიზებული სისტემის დამონტაჟების აუცილებლობაზე გამახვილდა განსაკუთრებული ყურადღება. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოგიშის და სოფელ ქვედა ცაგერის მაცხოვრებლებს მიწის რეგისტრაციასა და პენსიის აღებასთან დაკავშირებითაც აქვთ პრობლემები; სოფელ ლაილაშის მოსახლეობას კი მეწყერსაშიში და გაუმართავი საავტომობილო გზა გადაადგილების შეფერხების გარდა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრხესაც უქმნის.

6.6. დევნილთა განსახლების საკითხების განხილვა

11 აგვისტოს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა თამთა ჩეჩელაშვილმა მონაწილეობა მიიღო ქუთაისში ლტოლვილთა დანიის საბჭოს ორგანიზებით გამართულ სამუშაო შეხვედრაში, რომელზეც რეგიონში მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტებში არსებული საერთო სარგებლობის ფართების „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის“ საკუთრებაში გადაცემის პროცედურებისა და მასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

შეხვედრაზე მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლებმა ამ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატის რეგიონულ ოფისთან თანამშრომლობის მზაობა გამოთქვეს.

6.7. უმწეოთა სასადილოების მონიტორინგი

29 აგვისტოს სოფიო ხვადაგიანი ცაგერის უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარებსა და მოსამსახურე პერსონალს შეხვდა. სასადილოსთვის განკუთვნილი შენობა ავარიულია, დაზიანებული აქვს ჭერი, კედლები, იატაკი; არ არის დაცული ჰიგიენურ-სანიტარული პირობები; არა აქვს სველი წერტილი. სახალხო დამცველის წარმომადგენლის ვიზიტის დროს სასადილოს შენობის იატაკი ჩავარდა რა დროსაც ერთ-ერთმა თანამშრომელმა ქვედა კიდური დაიზიანა.

30 აგვისტოს სოფიო ხვადაგიანმა ცაგერის რაიონის სოფელ ლაჯანას უმწეოთა სასადილო მოინახულა, სადაც ასევე, მოუწესრიგებელია სველი წერტილი და წყლის სიტემა. სასადილო არ არის სათანადო ინვენტარით აღჭურვილი.

სახალხო დამცველის აპარატის გურიის სამმართველოს აქტივობა

6.8. შეხვედრა ოზურგეთის შშმპ დღის ცენტრში

28 ივლისს ოზურგეთის სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომელი ანა გახოკიძე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრ „გურიის“ ბენეფიციარების სპორტულ და გასართობ შეჯიბრებების დასკვნით ღონისძიებას დაესწრო. ღონისძიების დასრულების შემდეგ სახალხო დამცველის წარმომადგენელმა შეჯიბრების მონაწილეებს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკიდან საინფორმაციო ბროშურები და სახალხო დამცველის ანგარიშის ბრაილის შრიფტით არსებული საინფორმაციო სახელმძღვანელო გადასცა.

30 ივლისს ანა გახოკიძე დღის ცენტრის ბენეფიციართა მშობლებს შეხვდა და არსებულ პრობლეებზე და საჭიროებებზე ესაუბრა. ასევე მიაწოდა ინფორმაცია სახალხო დამცველის მანდატის შესახებ.

6.9. შეხვედრა ლიდერთა სკოლის ბავშვებთან

28 ივლისს ოზურგეთის ოფისის თანამშრომელი ანა გახოკიძე ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ლიდერთა სკოლის ბავშვებს შეხვდა და ბავშვთა უფლებებზე, სახალხო დამცველის მანდატზე, ბულინგზე ისაუბრეს და გურიის სკოლებში არსებულ პრობლემები განიხილეს.

სახალხო დამცველის აპარატის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს აქტივობა

6.10. არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის შეხვედრა

6 ივლისს სახალხო დამცველის აპარატის სამეგრელო–ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსი ლევან პაპავა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის „საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის“ მიერ ბორჯომში გამართულ შეხვედრას დაესწრო, რომელზეც განიხილეს ზუგდიდის, ხობის, ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტებში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში გამოვლენილი ინდივიდუალური და სისტემური ხასიათის პრობლემები, შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა და მათი გადაჭრის მიზნით ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებაზე შეთანხმდნენ.

6.11. შეხვედრა ადვოკატებთან და უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

15 აგვისტოს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები სამეგრელო–ზემო სვანეთის სამმართველოს ოფისში სისხლის სამართლის მიმართულებით მომუშავე ადვოკატებს და უფლებადამცველი ორგანიზაციების ადგილობრივ წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრა მიზნად ისახავდა დამატებითი ინფორმაციის მიღებას სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან ძალადობის, არასათანადო მოპყრობისა და უფლებამოსილების გადამეტების სავარაუდო ფაქტების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე განიხილეს ადვოკატების მიერ სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობისას იდენტიფიცირებული სისტემური ხასიათის პრობლემები, დაცვის უფლებისა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მომწესრიგებელი საპროცესო ნორმების დარღვევის შემთხვევები.

სახალხო დამცველის აპარატის ქვემო ქართლის სამმართველოს აქტივობა

6.12. საჯარო ლექცია მარნეულის ახალგაზრდებთან

აზერბაიჯანელი ახალგაზრდების ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ცნობიერების ამაღლებისა და უფლებების დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმების გაცნობის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის ქვემო ქართლის ოფისის თანამშრომლები ირმა მჭედლიძე და მურადხან გუსეინოვი **21 ივლისს** 15-დან 25 წლამდე ასაკის ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებს და სტუდენტებს შეხვდნენ.

შეხვედრის მონაწილეებს მურადხან გუსეინობმა აზერბაიჯანულ ენაზე წაუკითხა ლექცია თემაზე: „ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე“.

შეხვედრა კითხვა–პასუხის რეჟიმში გაგრძელდა; დასასრულს დამსწრეებს სახალხო დამცველის აპარატის ბუკლეტები და ფლაერები გადაეცათ.

7. წარმატებული საქმეები

7.1. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სახალხო დამცველის წინადადება გაითვალისწინა

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სახალხო დამცველის **11 ივლისის** წინადადებით გამოძიება დაიწყო მუქარის ფაქტზე, რომელიც პარტნიორობაზე უარის თქმის მოტივით ხორციელდებოდა და **21 ივლისს** მოქალაქე ჯ.ხ. დააკავა.

საქართველოს სახალხო დამცველის განმცხადებელი რ.ვ. აღნიშნავდა, რომ პარტნიორულ ურთიერთობაზე უარის თქმის გამო ჯ.ხ. 2010 წლიდან ფსიქოლოგიურად ძალადობდა მასზე და ემუქრებოდა; რ.ვ.–მ არაერთხელ მიმართა სამართალდამცავი ორგანოებს, თუმცა, სამართალდამცავი უწყება რ.ვ–ს ყოველ მიმართვას განიხილავდა, როგორც ცალკე აღებულ შემთხვევას, არ ითვალისწინებდა ძალადობის სისტემატურ ხასიათს და სახალხო დამცველის წინადადებამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ უმსჯელია აღნიშნული ქმედებების ერთობლიობით სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენების საჭიროებაზე.

სახალხო დამცველის აპარატმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისაგან დაცვის ეროვნულ ქსელსთან“ თანამშრომლობით, პირველად მოამზადა ფსიქოლოგიური შეფასება, რომელმაც ნათლად წარმოაჩინა რ.ვ.–ს მიმართ წლების მანძილზე განხორციელებული სისტემატიური ძალადობის კვალი.

7.2. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ძალისხმევით მსჯავრდებულს ოპერაცია ჩაუტარდა

ორივე ქვედა კიდურზე ვენების ვარიკოზული დაავადების მქონე, პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულების მსჯავრდებულ გ.გ.–ს ესაჭიროებოდა გადაუდებელი ოპერაცია. თუმცა,

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ცნობით, გ.გ.-ს ოპერაციული მკურნალობა ჩაუტარდებოდა გეგმიური წესით.

სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა რამდენჯერმე მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს მსჯავრდებულისთვის ოპერაციული მკურნალობის ჩატარების საკითხთან დაკავშირებით. შედეგად, მსჯავრდებულ გ.გ.-ს ოპერაციული მკურნალობა ჩაუტარდა.

7.3. მსჯავრდებულს დაწესებულების ტიპი შეუცვალეს

ასთმის მძიმე ფორმით დაავადებული მსჯავრდებული ა.ჩ. თვეების განმავლობაში მიმართავდა პენიტენციურ დეპარტამენტს დახურული ტიპის დაწესებულებიდან ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის მოთხოვნით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა 20 ივნისს მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს, გარკვეულიყო, რამდენად შესაძლებელი იყო მსჯავრდებულს გაეგრძელებინა სასჯელის მოხდა დახურული ტიპის დაწესებულებაში.

მსჯავრდებულის სამედიცინო მდგომარეობის შესწავლის შედეგად, ა.ჩ. ნახევრად ღია დაწესებულებაში გადაიყვანეს.

7.4. მსჯავრდებული C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამით მკურნალობს

მსჯავრდებულ მ.ა.–ს არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, არ ხდებოდა C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში მისი ჩართვა. მსჯავრდებულს 2015 წლის 8 დეკემბერს ჩატარებული ჰქონდა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული კლინიკო–ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების სრული სპექტრი, თუმცა, აღნიშნულ პროგრამაში მისი ჩართვის შესახებ გადაწყვეტილება არ იყო მიღებული.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის რეაგირების შედეგად, მსჯავრდებულს ხელახლა ჩაუტარდა გამოკვლევა და **26 ივლისს** საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ მსჯავრდებულ მ.ა.–ს ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობა უტარდება.

7.5. მოქალაქეს გირაოს თანხა დაუბრუნდა

საქართველოს სახალხო დამცველისთვის მოქალაქე მ.გ.-ს კანონიერი წარმომადგენელის მიერ 4 ივლისს მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, 2016 წლის 25 აპრილს პროკურორმა შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა მ.გ.-ს მიმართ, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იყო გირაო 2 ათასი ლარის ოდენობით. მიუხედავად ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და განრიდების გამოყენებისა, გირაოს სახით შეტანილი თანხა გირაოს შემტანს არ უბრუნდებოდა.

19 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ პროკურატურასა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართა. შედეგად, სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გირაოს შემტანს **1 აგვისტოს** გირაოს თანხა დაუბრუნა.

7.6. ოპერაციული მკურნალობა მსჯავრდებულისათვის

1 აგვისტოს მსჯავრდებულ ა.კ.–ს, რომელიც ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო მწვავე ტკივილებს განიცდიდა, საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის ძალისხმევით, განმეორებითი სამედიცინო კონსულტაცია ჩაუტარდა, რომლის შედეგადაც პაციენტისთვის ოპერაციული მკურნალობის ჩატარება გადაწყდა

მსჯავრდებულს ივნისში ჩატარებული სამედიცინო კონსულტაციის შედეგად ოპერაციული მკურნალობის საჭიროება არ დაუდგინდა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს მსჯავრდებულისთვის ხელმეორე კონსულტაციის შემჭიდროებულ ვადებში ჩატარების მოთხოვნით 21 ივლისს მიმართა.

7.7. მძიმედ დაავადებული მსჯავრდებული გაათავისუფლეს

3 აგვისტოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივმა მუდმივმოქმედმა კომისიამ წერილობით შეატყობინა საქართველოს სახალხო დამცველს, რომ კომისიამ განიხილა მსჯავრდებულ ი.ჯ.-ს საკითხი და **2 აგვისტოს** ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მსჯავრდებული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა.

საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა N18 დაწესებულებაში მსჯავრდებული ი.ჯ. რამდენჯერმე მოინახულეს. მსჯავრდებულს დაზიანებული აქვს ხერხემლის მალები და თავის ქალა, რის გამოც ვერ გადაადგილდება დამოუკიდებლად, შეზღუდული აქვს ზედა და ქვედა კიდურების მგრძნობელობა, უჭირს მეტყველება. მან არაერთხელ მიმართა სამედიცინო დეპარტამენტს ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის მიზნით ექსპერტიზის ჩატარების თხოვნით.

სახალხო დამცველის მიმართვის შედეგად სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტმა მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით, ი.ჯ. „აკად. ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში“ გადაიყვანა, სადაც ექიმ–სპეციალისტთა კონსილიუმმა პაციენტისთვის კონსერვატიული მკურნალობის საჭიროება განსაზღვრა.

8. მნიშვნელოვანი თარიღები

8.1. ფითრი ბაირამის დღესასწაული

5 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა მუსლიმ თანამოქალაქეებს რამადანის დასრულების, ფითრი ბაირამის დადგომის დღესასწაული მიულოცა და მშვიდობა და კეთილდღეობა უსურვა. გადმოცემის თანახმად, ალაჰმა მუსლიმთა კალენდრის მეცხრე თვეში მუჰამედს მოციქულის მისია შთააგონა და ყურანის პირველი გამოცხადება მოუვლინა.

8.2. პანკისში ლტოლვილთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

9 ივლისს პანკისის ხეობის სოფელ დუისში სახალხო დამცველის აპარატის მონაწილეობით ლტოლვილთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ადგილობრივმა მოსახლეობამ ფოლკლორული კონცერტი და სპორტული ღონისძიებები გამართეს. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ლტოლვილ ბავშვებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

ლტოლვილთა დაცვა სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ერთ–ერთი პრიორიტეტია. 2016 წლის მაისის მდგომარეობით საქართველოში 393 ლტოლვილის, ხოლო 1010 ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირია რეგისტრირებული; მათ შორის 234 პირი თბილისსა და პანკისის ხეობაში ცხოვრობს.

8.3. იძულებით გაუჩინარებულთა საერთაშორისო დღე

30 აგვისტო იძულებით გაუჩინარებულთა საერთაშორისო დღეა და საქართველოში ის 2011 წლიდან აღინიშნება. იძულებითი გაუჩინარება ხშირად მიზანმიმართულად გამოიყენება პოლიტიკური ოპონენტების რეპრესიებისა და კონფლიქტურ სიტუაციებში მოწინააღმდეგის დასჯისათვის. სწორედ ამ პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად, 2006 წელს ხელი მოეწერა გაეროს კონვენციას „იძულებით გაუჩინარებისაგან ყველა პირის დაცვის შესახებ“, რომლის მიხედვითაც იძულებითი გაუჩინარება საერთაშორისო დანაშაულად გამოცხადდა.

ქვეყნის ტერიტორიაზე მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად საქართველოში დღემდე დაახლოებით 2000-მდე პირია გაუჩინარებული. უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება 90-იანი წლების კონფლიქტების შემდეგ 1500-მდე ეთნიკური ქართველი, 200-მდე ეთნიკური აფხაზი, 100-მდე ეთნიკურად ოსი, ხოლო 2008 წლის ომის შემდეგ 6 ოსი და 35 ქართველი.

სახალხო დამცველი უსამძიმრებს უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულ პირთა ოჯახის წევრებს და მათ ახლობლებს და პატივს მიაგებს ამ პირთა ხსოვნას.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2013 წელს მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით „იძულებით გაუჩინარებისაგან ყველა პირის დაცვის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეკომენდაცია 2014 და 2015 წლებში დადგენილებით გაიზიარა საქართველოს პარლამენტმა – კონვენციის რატიფიცირების პროცესი დღემდე არ დაწყებულა.

9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

9.1. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის რელიგიის თავისუფლების ანგარიში საქართველოს შესახებ

10 აგვისტოს გამოქვეყნებულ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2015 წლის რელიგიის თავისუფლების ანგარიშში საუბარია მთავრობის მიერ შექმნილი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობაზე, რელიგიური მოტივით ჩადენილი სამართალდარღვევების მაღალ მაჩვენებელზე, სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკაზე,

მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მინიჭებულ პრივილეგიებზე, რელიგიური უმცირესობებისთვის საკულტო ნაგებობების მშენებლობისას შექმნილ დაბრკოლებებსა და საკუთრებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, საჯარო სასწავლო დაწესებულებებში რელიგიური ნეიტრალობისა და სეკულარობის პრინციპების დარღვევებზე.

სახელმწიფო დეპარტამენტი თავის ანგარიშში ეყრდნობა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებს და სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის პოზიციას რელიგიის თავისუფლების პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

ანგარიშში საუბარია მთავრობის მიერ შექმნილი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს გაუმჭვირვალე და არაეფექტურ საქმიანობაზე. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო მთავრობის გადაწყვეტილებით ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას და ასრულებს მთავრობის საკონსულტაციო ორგანოს ფუნქციას რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით. სახალხო დამცველთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრის ინფორმაციით, სახელმწიფო სააგენტოში არცერთი ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი არ არის დასაქმებული და სახელმწიფომ სააგენტო შექმნა რელიგიური ორგანიზაციების ფართო სპექტრთან, სახალხო დამცველის ოფისთან, რელიგიის თავისუფლების დაცვაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების გარეშე.

ანგარიშში საუბარია სააგენტოს მიერ ბუნდოვანი და სამართლებრივად დაუსაბუთებელი კრიტერიუმების საფუძველზე, მხოლოდ ოთხი რელიგიური დენომინაციის შერჩევასა და დაფინანსების დისკრიმინაციულ წესზე. ხაზგასმულია, რომ დაფინანსების არსებული პოლიტიკა მოქმედებს რელიგიური გაერთიანებების ავტონომიურობაზე.

არაადეკვატურია სახელმწიფოს რეაგირება რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილ სამართალდარღვევებზე. სახალხო დამცველის ანგარიშებზე დაყრდნობით, ნათქვამია, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ეფექტური გამოძიება. რელიგიური გაერთიანებები, გარდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, საკულტო ნაგებობების მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცესში სახელმწიფოს მხრიდან წინააღმდეგობებს აწყდებიან; არ გადადგმულა ნაბიჯები საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის პრობლემის გადასაჭრელად. სკოლებში ადგილი აქვს მართლმადიდებელი თეოლოგიის სწავლებას, უმცირესობას მიკუთვნებული მოსწავლეების მშობლები კი მათი შვილების უფრო მეტად შევიწროვების შიშით თავს იკავებენ საჩივრების წარდგენისგან.

ეროვნული კანონმდებლობა და ხელისუფლება გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას და ქვეყანაში უთანასწორო საგადასახადო რეჟიმი მოქმედებს. ამას გარდა, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის თანახმად, არც–ერთ რელიგიურ გაერთიანებას, გარდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, არ აქვს უფლება შეიძინოს გარკვეული სახის სახელმწიფო ქონება, პირდაპირი მიყიდვის გზით.

9.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება სლოვაკეთის წინააღმდეგ

26 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე „ადამი სლოვაკეთის წინააღმდეგ“. საქმე ეხება ახალგაზრდა ბოშას იაროსლავ ადამის საჩივარს, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ 2010 წელს პოლიციის განყოფილებაში ყაჩაღობასთან დაკავშირებით დაკითხვისას მას დაარტყეს სახეში, ხოლო მის განცხადებას სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება არ მოჰყოლია.

სასამართლომ არ დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე–3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა, პოლიციის განყოფილებაში სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, ვინაიდან დამაჯერებლად მიიჩნია ხელისუფლების პოზიცია, რომ განმცხადებლის დაზიანება – შეშუპებული ლოყა – შეიძლება მიღებული ყოფილიყო დაკავების დროს გაწეული წინააღმდეგობის შედეგად.

რაც შეეხება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოძიებას, სასამართლომ ერთხმად დადგინა კონვენციის მე–3 მუხლის დარღვევა, წამებასთან დაკავშირებული გამოძიების არასათანადოდ წარმართვის ნაწილში. ვინაიდან, იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებას საკუთარი ინიციატივით დაეწყო გამოძიება, შესაბამისმა ორგანოებმა თავად განმცხადებელს დააკისრეს მტკიცების ტვირთი. აგრეთვე, ხელისუფლებას არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს იაროსლავ ადამის სახეზე არსებული დაზიანების გამომწვევი მიზეზის სხვადასხვა ვერსიას შორის არსებული შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით; სლოვაკეთში ბოშათა მიმართ არსებული შეხედულებების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლების ორგანოებმა არ შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობები, რათა გამოეძიებინათ განმცხადებლის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტი.

10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

10.1. საკადრო ცვლილებები სახალხო დამცველის აპარატში

სახალხო დამცველის აპარატში განხორციელებული საკადრო ცვლილებებით **21 ივლისს** 2015–2016 წლებში საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე საქართველოს სახალხო დამცველის პირველ მოადგილედ დაინიშნა.

სახალხო დამცველის მოადგილედ დაინიშნა 2013–2016 წლებში სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე სხილაძე.

ეკატერინე სხილაძე 2007 წლიდან აქტიურად არის ჩართული ქალთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესებში. 2014 წლიდან არის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს წევრი; ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული საკოორდინაციო ჯგუფის წევრი; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს წევრი; პირის, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს წევრი; ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფის წევრი.

1 აგვისტოდან სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დაინიშნა გვანცა ჩხაიძე.

ივლისიდან აშშ–ს განვითარებს სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით მოქმედ საქართველოს გაეროს ასოციაციის პროექტში – „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა“, სამართლის საკითხებში მკვლევარის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო მიხეილ შარაშიძემ.

ივლისში, ბულგარეთის საელჩოს მხარდაჭერით, სახალხო დამცველის აპარატის რეგიონულმა დეპარტამენტმა კახეთის ოფისის გაძლიერებისთვის ოთხი საკონტაქტო პირი და ერთი კოორდინატორი შეარჩია. თელავში პროექტის კოორდინატორად მუშაობა დაიწყო ეთერ შიუკაშვილმა, სახალხო დამცველის საკონტაქტო პირები გახდნენ: ახმეტაში ნანა ქიბიშაური, საგარეჯოში თორნიკე ჩიქოვანი, გურჯაანსა და ყვარელში ეკა გოგაშვილი, დედოფლისწყაროსა და სიღნაღში იაკობ იაკობაშვილი

კოორდინატორები, გურჯაანის, ყვარელის, საგარეჯოსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისგან მიიღებენ ინფორმაციას პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, გააცნობენ მათ სახალხო დამცველის კომპეტენციას, მანდატს და მის მნიშვნელობას უფლებების დაცვის კუთხით.

10.2. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული მონიტორინგი

ივლის–აგვისტოს თვეში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა 48 ვიზიტი განახორციელა პენიტენციური დეპარტამენტის 10 დაწესებულებებში და შპს „ელიზაბეტ ბლექვ-

ელის ჰოსპიტალში“, სადაც 244 პატიმარი მოინახულა.

მონიტორინგისას გამოკვეთილ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა განახორციელა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება და მიმართა რელევანტურ სახელმწიფო ორგანოებს პატიმართა შესაძლო უფლება–დარღვევის ფაქტების შესწავლის, მათი აღმოფხვრის და პასუხისმგებელი პირების გამოვლენის მიზნით.

10.3. პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგი

ივლისსა და აგვისტოში პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტმა შეამოწმა პოლიციის 23 მთავარი, სამხარეო და მუნიციპალური სამმართველოები; ასევე საქართველოში მოქმედი 12 დროებითი მოთავსების იზოლატორი.

10.4. მომართვიანობის სტატისტიკა

ივლისის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 741 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 621 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი - 303
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 41
- პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი - 7
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი - 26
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი - 23
- შშმპ უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 14
- რეგიონული დეპარტამენტი - 181
- ანალიტიკური დეპარტამენტი - 10
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი - 1
- თანასწორობის დეპარტამენტი - 15



ივლისის თვეში შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა

- ჯანმრთელობის უფლება - 4
- საარჩევნო უფლება - 1
- გამოხატვის უფლება - 13
- ინფორმაციის მიღების უფლება - 51
- დისკრიმინაცია - 9
- ეთნიკური უმცირესობების უფლებები - 1
- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურება - 14
- ეკოლოგიურ-გარემოსდაცვითი უფლებები - 2
- ხანდაზმულთა უფლებები - 3
- მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელ და თავშესაფრის მქონე პირთა უფლებები - 2
- დევნილთა უფლებები - 11
- სოციალური დახმარებს საკითხი - 12
- შრომითი უფლებები - 8
- საკუთრების უფლება - 12
- უფლება სათანადო საცხოვრისზე - 7
- პატიმრობის პირობები - 187
- პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა - 77
- წამება და არასათანადო მოპყრობა - 42
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებულ ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებები - 2
- ბავშვის უფლებები - 25
- გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებები - 15
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები - 11
- სხვადასხვა - 232



აგვისტოს თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 794 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 652 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი - 6
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 54
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი - 322

- რეგიონული სამმართველო - 181
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი - 28
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი - 12
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 14
- ანალიტიკური დეპარტამენტი - 8
- თანასწორობის დეპარტამენტი - 27



აგვისტოს თვეში შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა

- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა - 1
- ჯანმრთელობის უფლება - 4
- შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება - 1
- გამოხატვის უფლება - 14
- ინფორმაციის მიღების უფლება - 48
- დისკრიმინაცია - 14
- ეთნიკური უმცირესობების უფლებები - 1
- რელიგიის თავისუფლება - 1
- გადაადგილების თავისუფლება - 3
- საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის გაჭიანურება - 1
- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურება - 15
- ეკოლოგიურ-გარემოსდაცვითი უფლებები - 2
- განათლების უფლება - 1
- მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელ და თავშესაფრის მქონე პირთა უფლებები - 10
- ეკო-მიგრანტთა უფლებები - 1
- დევნილთა უფლებები - 7
- სოციალური დახმარებს საკითხი - 24
- შრომითი უფლებები - 2
- საკუთრების უფლება - 10
- უფლება სათანადო საცხოვრისზე - 14
- პატიმრობის პირობები - 190
- პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა - 68
- წამება და არასათანადო მოპყრობა - 30
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებულ ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებები - 1
- ბავშვის უფლებები - 22
- გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებები - 10
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები - 11
- სხვადასხვა - 288



კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ოზურგეთი:
დავით აღმაშენებლის 9
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის 4
ტელ.: 0362 22 32 83
მობ.: 577 12 27 70;
591 96 88 82

ზუგდიდი:
კოსტავას 58
ტელ.: 0415 22 36 11
მობ.: 595 52 53 56

ბათუმი:
მაზნიაშვილის 9
ტელ.: 0422 27 05 44
მობ.: 595 80 78 43

მარნეული:
რუსთაველის 51
ტელ.: 0357 22 19 70
მობ.: 595 52 53 57

გორი:
სამების N1
ტელ.: 0370 27 05 49
მობ.: 551 66 14 77

ქუთაისი:
რუსთაველის 18
ტელ.: 0431 25 33 50
მობ.: 577 55 33 81

თელავი:
ჩოლოყაშვილის 3
მობ.: 591 88 35 38
ტელ.: 0350 27 99 27

ცხელი ხაზი - 1481

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ნიკო თათულაშვილი
ლევან მესხორაძე